



სტანოვარძის  
 მარტინუსი  
 ბიზნისი

ინფორმაცია -  
 უცნობი ნაცნობები,

ანუ, რა არის  
 გულის იშემიური დაავადება და  
 როგორ ავიცილოთ იგი?




ქანგბადით გულის კუნთის მომარაგების დარღვევას იშემიური დაავადება ჰქვია. იგი გულის მკვებავი სისხლძარღვების “შევიწროებითაა” გამოწვეული.



სურათებზე: მიოკარდიუმის ინფარქტი

შევიწროებას, ანუ სტენოზს, მრავალი სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს, რომელთაც რისკის ფაქტორებს უწოდებენ. მათ თქვენ ქვემოთ მოყვანილ სქემაზე ხედავთ:



დეტალურად შევჩერდეთ რისკის ფაქტორების თითოეულ ჯგუფზე:

### I ჯგუფის რისკის ფაქტორები:

დაავადება მემკვიდრეობით არ გადაეცემა, მაგრამ, მიდრეკილება ამა თუ იმ დაავადების მიმართ, გენეტიკურადაც არის განპირობებული. ჩვენს მშობლებს ვგავართ არა მხოლოდ გარეგნობითა და ხასიათით, არამედ ჩვენი დაავადებებითაც!

თუ თქვენი მშობლები, ან და-ძმა, გულის იშემიური დაავადებით იყვნენ, ან არიან დაავადებულნი, თუ რომელიმე მათგანი უეცრად, “უმიზეზოდ” გარდაიცვალა, თქვენ მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებით. ორმოც წელს გადაცილებული პირები ამ დაავადების მიმართ გაცილებით დაუცველნი არიან, განსაკუთრებით – მამაკაცები (თუმცა ყურადღების გამოსენა ქალბატონებსაც არ აწყენთ).

**გენეტიკური ფაქტორების მოხსნა შეუძლებელია, ამიტომ ამ პირებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ!**

### II ჯგუფის რისკის ფაქტორები:

თქვენ, შესაძლოა, ამ დარღვევების გაჩენაშიც არ მიგიძღვით ბრალი, სამაგიეროდ, დროული, სისტემატური მკურნალობითა და პროფილაქტიკით, შესაძლებელია II ჯგუფის ფაქტორების შემაჯღერება მნიშვნელოვნად, შეამცირეთ.

(იხილეთ რეკომენდაციები “გენეზისი“-ს შესაბამის ბროშურებში ათეროსკლეროზის, არტერიული ჰიპერტონიისა და შაქრიანი დიაბეტის შესახებ)

### III ჯგუფის რისკის ფაქტორები:

ამ ჯგუფში შემავალი რისკის ფაქტორები აუცილებლად უნდა მოიცვილოთ.

**ამ ფაქტორების თქვენს ორგანიზმზე ზემოქმედების გაკონტროლება მხოლოდ თქვენს ნებასა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული!**

(იხილეთ რეკომენდაციები “გენეზისი“-ს ბროშურაში “გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები”)

### იშემიური დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები (ნიშნები)

გულის იშემიური დაავადებისათვის (სტენოკარდიისთვის) დამახასიათებელი (ტიპური) სიმპტომებია: ტკივილი, სიმძიმის, მოჭერის, წვის, ან ზეწოლის შეგრძნება “გულის კოვზთან”, მკერდის ძვლის უკან, მხრებში, ბეჭში, ქვედა ყბაში, იდაყვსა და მაჯაში გადაცემით.

ამ ტკივილის აღმოცენება-გავრცელება შადრევანს მოგვაგონებს. იგი ხშირად იწყება ფიზიკური დატვირთვის, ემოციური სტრესის, სიცივის დროს და მცირდება, ან ქრება დატვირთვის შეწყვეტისას, ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის აბის მიღებით.



გამორიცხული არ არის, რომ პირველივე შეტევა გახანგრძლივდეს და მიოკარდიუმის ინფარქტის ჩამოყალიბებით დამთავრდეს.

გულის იშემიური დაავადება, შესაძლებელია, ატიპურადაც გამოვლინდეს – უმიზეზო სისუსტით, პაერის უკმარისობით, გულის ფრიალის შეგრძნებით, უჩვეულო ხასიათის, ან ლოკალიზაციის ტკივილით.

ასეთი ჩივილების აღმოცენებისას, განსაკუთრებით, თუ თქვენ “მაღალი რისკის ჯგუფს” ეკუთვნით, აუცილებლად მიმართეთ ექიმს!

### რეკომენდაციები:

გულმკერდში ტიპური ტკივილის გაჩენის შემთხვევაში წამოწყით და ნიტროგლიცერინის აბი მოათავსეთ ენის ქვეშ სრულ გადნობამდე. თუ ტკივილი ხუთ წუთში არ მოიხსნა, შეგიძლიათ მეორე აბიც მიიღოთ. თუ ტკივილი ამის შემდეგ 10 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა, გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

თუ ტკივილი იწყება ფიზიკური დატვირთვის დროს, აუცილებლად შეწყვიტეთ დატვირთვა!

ნუ დატოვებთ თქვენს შეგრძნებებს უყურადღებოდ. თავის დაზღვევის მიზნით სჯობს ზედმეტად მიმართოთ ექიმს, ვიდრე დაიგვიანოთ!

და, ბოლოს, თუ დაგიდასტურეს სტენოკარდიის დიაგნოზი,

ყურადღებით მისდიეთ ექიმის რჩევებს, თვითნებურად ნუ შეცვლით, ან ნუ შეწყვეტთ მკურნალობას!

ძალზე აქტუალურად ჟღერს ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი: “სტენოკარდიით დაავადებულთა გადარჩენა თვით სტენოკარდიით დაავადებულთა საქმეა!”

56/1581 PX 4821/1  
გულის იშემიური დაავადების დროს, მოსვენებულ მდგომარეობაში გადაღებულ ელექტროკარდიოგრამაზე, შესაძლოა, არ აღმოჩნდეს ცვლილებები. ფარულად არსებული დაავადების გამოვლენა შესაძლებელია სტრეს-ტესტის ჩატარებით (ელექტროკარდიოგრამის რეგისტრაცია ფიზიკური დატვირთვის ფონზე – ველოერგომეტრიით ან ტრემილით). ასეთი ტესტის ჩატარება რეკომენდებულია:

- ♥ თუ თქვენ ორმოც წელზე მეტი ასაკის ხართ და ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ორი, ან მეტი ფაქტორი აღეგნიშნებათ: სისხლში ქოლესტეროლის მაღალი დონე, შაქრიანი დიაბეტი, მემკვიდრეობით გადმოცემული მიდრეკილება, თამბაქოს წევა.
- ♥ თუ თქვენ ორმოც წელზე მეტი ასაკისა ხართ და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვის დაწყებას ფიქრობთ.
- ♥ თუ ხართ მძღოლი, მეხანძრე, პოლიციელი, მემანქანე, მფრინავი და ა.შ. ანუ თქვენზე, გარკვეულწილად, მოქალაქეთა უსაფრთხოება დამოკიდებული.

ბროშურა მომზადებულია «NOVIB»-ის – «ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობისათვის» დაფინანსებით.

დამატებითი რჩევებისათვის მიმართეთ კლინიკას - “გენეზისი” შემდეგ მისამართზე:

თბილისი 0154, ზუგდიდის ქ.3 / ევლოშილის ქ.19  
ტელ: 356357, 353097, ტელ/ფაქსი: 943148  
ელ. ფოსტა: [genesis@access.sanet.ge](mailto:genesis@access.sanet.ge)  
ინტერნეტი: [www.genesis.org.ge](http://www.genesis.org.ge)